ოქმი:**ო37. 3724116001**

თარიღი:**25/04/2024**

ოქმი N 10

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2024 წელი 25 აპრილი

ქ. ოზურგეთი

15.00-16.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩიაა-საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ნ. ჭანიშვილი, დ. ჭაკნელიძე, ქ. ხომერიკი, ბ. თოიძე, მ. ჩხიკვიშვილი, გ. ჩავლეშვილი.

სხდომის თავმჯდომარე მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მიაწოდა ინფორმაცია კვორუმზე, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 7 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

მთანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ განაცხადა, რომ კომისიამ იმსჯელა აღნშნულ პროექტზე და მხარს უჭერს მის წარდგენას საკრებულოს სხდომაზე შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოხსენებითი ბარათის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

მთანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ბიგვავამ განაცხადა, რომ 2024 წლის 26 აპრილს დღის 12 სათისათვის ჩანიშნული საკრებულოს მორიგი სხდომის გადადების თაობაზე მოხსენებითი ბარათით შემოვიდა საკრებულოს აპარატის უფროსი, რომლის თანახმადაც წინასწარი ინფორმაციებისა და შეტყობინებების დამუშავების შედეგად, სხვადასხვა ობიექტური მიზეზების გამო ვერ ხერხდება სხდომისათვის აუცილებელ საკრებულოს წევრთა(ქვორუმის) მობილიზება, ითხოვა საკრებულოს მორიგი სხდომა გადატანა 2024 წლის 30

აპრილის დღის 16.00 საათისათვის, ბიუროს წევრებმა მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას.

გადაწყვიტეს:

1. ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N 1 საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის მიზნით.

2. გაუქმდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიმდინარე წლის 22 აპრილის N 9 საოქმო გადაწყვეტილების N2 პუნქტი და აუცილებლობიდან გამომდინარე საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაღვროს 2024 წლის 30 აპრილი, დღის 16.00 საათი.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი